

ნათე

ქართული
საბავშვო ჟურნალი

გამოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 ზან.

საქართველოს სახალხო მეურნეობის სბქოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის ხისდამამუშავებელ საწარმოებში 221 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკიდან მხოლოდ 72 მუშაკს აქვს უმაღლესი ტექნიკური განათლება.




დაბრახილ აკაკის ქარხანაში

— გვსაყვედურობენ დაგრებილ სკამებს უშვებთო!
— ჩვენი ქარხანა გრებილი ავეფისა და აბა რას ვიზამთ!

ნაბ. გ. ლოლუასი

ნახ. გ. ლომიძისა



ქომენტარი ზედმეტია

„ინჟინერის“ ცოცხლები

ვერობა... ქალაქები... მალაზიები... ყველაზე მეტად მე მალაზიებს ვათვლიერებ. ცოლის დაეალებს შესასრულებლად. მან ხომ ძალად გამხადა ტურისტი და სახლში არ მიმესვლება, თუ მისი მოსაწონი ტუფლები არ ჩავეიტანე. ჩემი ტერეზია ამტკიცებს, რომ თბილისის არც ერთ მალაზიაში არ იშოვება მისი სარგო და მოსაწონი ფეხსაცმელი. ვერც შეკვეთით შეკერილმა „ჯღანებმა“, როგორც ის უწოდებს თბილისურ საქონელს, დააკმაყოფილეს მისი მალაზი გემოვნება. მეტად სახიფათო და საბედისწერო მისია მაქვს დავალებული. ჩემი მეუღლის მაგალითზე, მე მშვენივრად ვიცი, რომ ქალის გული ძალზე სათუთო. სულ პატარა რამ გაახარებს. მოინადირებს მას, მაგრამ ასევე პატარა საკმარისია, რომ ეს გული (პატრონთან ერთად) ტივივით გაიბეროს და საშიშროების ქვეშ დააყენოს მთელი ოჯახი.

ტურისტული მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება და მე ჯერ არაფერი მინახავს, გარდა ფეხსაცმელების მალაზიებისა. უკანასკნელად იტალიაში ყოფნის დროს ქალაქ სორენტოში (ეს ქალაქი ჩემმა ცოლმაც კარგად იცის, დღეში სამჯერ ნახულობდა ფილმს „დაბრუნდი სორენტოში“ და სახლში გვიან ბრუნდებოდა) წავაწყდი ქალის ტუფლებს, რომლებსაც უჩვეულო სიხარბით ყიდულობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები. მეც ძალიან მომეწონა. რა ოსტატის ხელობა გააკეთა ასეთი მიმზიდველი და მშვენიერი, ვაზობი გულში. სწორედ ისეთია, რომლის შესახებაც ჩემი ცოლი 5 წლის მანძილზე წარმატებით მიკითხავდა ლექციას და ზეპირად შემასწავლა მეკრავ-ოსტატის თეორიული კურსი. სასწრაფოდ შევიძინე ტუფლები და დარეტიანებული დაგბრუნდი სასტუმროში. ტურისტული მოგზაურობა

ბის დროს არაფერი მინახავს, მაგრამ ამას ვინ ჩივის. რადგან, რაც მთავარია, ტუფლები ვიშოვე, ტუფლები.

ვბრუნდები... საპაერო ლაინერს... ტუფები... მინახავს უსწრებს ჩემი ფიქრები. გულში [არ მინახავს] [არ] [არ] ხელ კიდევ ვინჯავ პორტფელში ჩემს ნავაჭრს. საუცხოოა, შესანიშნავი.

რეაქტიულმა თვითმფრინვამ ელვასავით გადაუქროლა კავკასიონის დათოვლილ მწვერვალებს და თბილისში დაეშვა...

ფრთხილად ვაჭერ ხელს ლილას და ელექტროზარის ხმაზე უფრო მეტად ჩემი გულის დაგადუგი მესმის.

— ჩემო სიცოცხლე, ჩემო გვრიტო! მომკლა უშენობამ. აწი მარტო ფეხს არ გავადგამ არსად, — გულამაჩუყებელი სიტყვებით მივუალერსე ერთი თვის უნახავ მეუღლეს.

— რა მოგვიტანე? ამ ორი სიტყვით იკითხა მან ჩემი ჯანმრთელობისა და მოგზაურობის აზრები. თანაც გაუნძრევლად, მშვიდად უცდიდა პასუხს. დაყოვნება დანაშაულს უდრიდა და მეც სასწრაფოდ წარვეუდგინე ჩემი მოგზაურობის ანგარიში — ტუფლები.

ტერეზიას თვალები გაუბრწყინდა. ერთი წუთის წინათ გაქვავებული მუშია ცეცხლად იქცა. სურროსავით შემომხვია ყელზე და კინაღამ დამახრჩო. შემდეგ სასწრაფოდ ჩაიკვა ტუფლები და მეზობლებში გაიქცა, შუალამედე გაგრძელდა მისი მოგზაურობა. ხან ერთი სართულიდან და ხან მეორედან მესმოდა ტუფლებისა და ჩემი კომერციული ნიჭის ქება...

ამიერიდან ჩემს ოჯახში, ტუფლებთან ერთად, კვლავ შევიდა ხმარებაში მივიწყებული სიტყვა — „გენაცვალე“. — ჩემი ნიჭიერი, ჩემი ჭკვიანი ბიჭო! რას ვერჩი, რას ვებუტები, რას ვეჯჯღანები, — მესმის ტერეზიას დამადნობელი სიტყვები.

ცოლის სამსახურშიც წარმატებით ჩატარდა ჩემი ნავაჭრის განხილვა და ფაქიზი გემოვნების ქალთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ყველაფერი კარგად მოეწყო. მეუღლის განწყობილება ბავშვებსაც გადაეღოთ და ახლა ისინიც სახელის ნაცვლად კვლავ „მამიკოს“ მუძახიან.

მესამე დღეს სამუშაოდან კარგი განწყობილებით დაგბრუნდი. სიხარულით ავირბინე კიბის საფეხურები და, რადგან სახლში კარგი სადილი მელიოდა, პირობითი რეფლექსის საფუძველზე, წინასწარ ჩავყლაპე ნერწყვის საკმარ ულლუვა. კარი შევადე და საშინელ კვირთან ერთად, თავში მომხვდა რაღაც საგანი... ყველაფერი აირია... როცა გონს მოვედი, ჩემს წინ ქალის ტუფლი ეგდო. ხოლო ოთახის კუთხიდან ნიაღვარივით მოდიოდა ცოლის „ლოცვა-კურთხევა“.

— ქალო, რა დაგიშვა... — სიტყვა მეორე ტუფლის მოხვედრამ გამაწყვეტინა.

— წაიკითხე, წაიკითხე, შე უსინდისო, სიონის მათხოვარო, მარკაზე რა წერია...

— მე რომელი ენათმეცნიერი მნახე, რომ იტალიური ჩაგაბულბულო? — შევკადრე და მის დასამშვიდებლად ყასიდად ჩავიხედე ტუფლში. უცრად თვალში მომხვდა ოქროსფერი ასოებით მრგვალ მარკაზე ამოკვეთილი სიტყვა — „თბილისი“.

— შე კაცის გლახა, შე ლობიო, შე უშნო, თბილისური ჯღანები იტალიიდან არ ჩამოგეტანა, აქ ცოტა ყრია მალაზიებში?

ახლა მე ავენთე სიბრახისაგან და ისეთი შემზარავი ხმით დავიყვირე, რომ პიანინოს თავზე ჩამწკრივებული ცოლის მიერ ნაყიდი სათამაშო სპილოები შიშისაგან აცახცახდნენ.

— ქალო, შენ წარწერა გინდა ჩაიკვა, თუ ტუფლები? მთელი ვერობა შემოვიარე, შენი დაეალებს გადამიკდეს არაფერი არ მინახავს, გარდა მალაზიებისა. იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ყველა ასეთ ტუფლებს ესეოდა და შენ იმიტომ მიწუნებ, რომ თბილისი აწერია?

ამ სიტყვებთან ერთად, ორივე ტუფლი ისევე „ზრდილობიანად“ დაუბრუნე ჩემს მეუღლეს უკანვე, როგორც მან „გამომიგზავნა“.



რაკი ამ ამბავში სენსაციური ნამდვილად არაფერია, ჯობია თავიდან დავიწყოთ.

სამტრედიის გზაზე, გუბის წყლის მახლობლად, ველოსიპედით თავის მისეირობდა ჯიხაიშელი თამაზ აბზიანიძე. მისეირობდა და თვითონაც აღარ ახსოვს როგორ მოხვდა თავის ველოსიპედთან და მსუბუქი ავტომანქანის ქვეშ. როგორც შემდეგში გამოირკვა, ტაქსის მძღოლმა ნიკოლოზ ილურიძემ, რომელიც რაკეტის სისწრაფით მიჰქრია შარაზე მოიწადინა თავზე გადაჭყრენოდა ჩამორჩენილი ტექნიკის პატრონს. მისთვის ამ საქმეში ხელი შეუშლია მხოლოდ ველოსიპედისტის ქოროსი, რომელიც თავზე გადავლის დროს მანქანის ბორბალს გამოსდებია და დიდი კატასტროფის მიზეზი გამხდარა. დაჯახების შედეგად, როგორც ჯიხაიშელები ამბობენ, ილურიძემ მარჯვენა ფეხის „კოჭი მიატება“ აბზიანიძეს. ამვე დროს, ილურიძე იმდენად თავმდაბალი და კეთილი გამოდგა, რომ, რაკი ფეხმოტეხილი აბზიანიძე ველოსიპედითაც ვეღარ შესძლებდა საავადმყოფოში მისვლას, სამტრედიაშიც თავის ველოსიპედთან სრულიად უფასოდ და უსასყიდლოდ ჩაიყვანა.

მაგრამ, გზაში გამორკვეულა, რომ კაცს ფეხი თავისით არ სტყდება და ილურიძის დანაშაული ამ საქმეში, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე დაბადებულა აზრი, რომ ილურიძემ შეიძლება იყიდოს აბზიანიძის ფეხი და შემდეგ ნაყიდ საკუთარ ფეხს კი ისე მოექცეს, როგორც უნდა. ილურიძეს ისიც გაუთვალისწინებია, რომ აბზიანიძეს იმ დროს ფეხი სტკიოდა და მტკივანი ფეხი შეიძლება მისთვის ფასდაკლებით მიეყიდა.

— ძამა, მომიყიდე მაი ფეხი, თუ შეიძლება.—უთქვამს გზაში ილურიძეს აბზიანიძისათვის.

— ბიძიკო. მანქანამ მე გამიტანა და შენ გაგიყიდი?!—უპასუხია აბზიანიძეს.

ერთი სიტყვით, ფეხმოტეხილი ზედმეტად მეძვირე გამოდგარა და მოტეხილ, ნაგვამ, მიმსხვრეულ-მიმსხვრეულ ფეხში რაღაც ზღაპრული თანხა მოუთხოვია.

ნიკოლოზ ილურიძეს საავადმყოფოსთვის ჩაუბარებია აბზიანიძე მამა-ღმერთისათვის მადლობა შეუწირავს, რომ მეძვირე თამაზს მეორე ფეხი მაინც შერჩა და პირდაპირ ჯიხაიშში გადურენილა აბზიანიძის მშობლებთან. თამაზის მშობლებს, რაკი არ იყვნენ საქმეში გარკვეულგზი, სულ რაღაც ხუთი ათას მანეთად შეუფასებიათ შვილის ფეხი, ილურიძეს ფული დაუყარია და წასულა.

ეს ამბავი დაგვიანებულ დებეშასავით მისულა სამტრედიის მილიციის განყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორ გ. ძიძიგურიანს. უმცროს ლეიტენანტ გ. ძიძიგურს გაუქვე-გამოუქეცია საქმე და, რაკი ამ ამბავს ფულის სუნი ასდიოდა, ორივე ხელი დაუფარებია, რომ ეს სუნი სხვას არ მოხვედროდა ცხვირში, მაგრამ უფროს სახელმწიფო ავტოინსპექტორს დ. ფოფხაძეს ყნოსვა იმდენად ჰქონია განვითარებული, რომ ფულის სუნი მაინც აუღია.

რა მოხდა შემდეგ დღემდე არავენ იცის. უმცროსი ლეიტენანტი ძიძიგური ამტკიცებს, რომ უფროსმა სახელმწიფო ავტოინსპექტორმა დ. ფოფხაძემ საკუთარი თვალთა ინახულა ტაქსის მძღოლი ნიკოლოზ ილურიძე და დაწვრილებით გამოჰკითხა მისი ჰაერში აფრენისა და მომხდარი ავარიის ამბავი. როცა ძიძიგური ამას ამტკიცებს, ფოფხაძე საცოდავი ბატონის სახეს ღებულობს და ამბობს, რომ აბზიანიძეს ფეხი საკუთარი ინიციატივით მოუტეხია და, რაკი ფეხი მოუტეხია, ილურიძეს მხოლოდ სასწრაფო დახმარება აღმოუჩენია, მეტი არაფერი.

დ. ფოფხაძე უფროსია და, რაკი უფროსია, მას ყველაფერი დაეჯერება. მაგრამ საქმეში მოყენილ სინათლეს ჩრდილს ჰფენს ილურიძის საქმის გამო შედგენილი ქაღალდები, რომლებიც შედგენილ და გაუქმებულ იქნენ ძველი რიცხვითა და ახალი მოწადინებით, აბზიანიძის საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ.

ქაღალდი ვშაქსაც წაუღია. ჩვენ სრულიადაც არ გვანტერესებს რამდენი ფურცლისაგან, რამდენი რეზოლუციისა და ახსნა-განმარტებებისაგან შედგება ილურიძე-აბზიანიძის საქმე. არა, ეს არ არის საინტერესო. საინტერესოა მხოლოდ გავიგოთ ერთი რამ: რა დაჯდა საბოლოოდ ჯიხაიშელი აბზიანიძის „კოჭი მოტეხილი“ ფეხი და რას იტყვის მილიციის სამტრედიის განყოფილების უფროსი ამხ. კ. შავიშვილი ამ შავი საქმის შესახებ.

ხომ გაგივიათ რესტორანი «სამადლო» ახალი რესტორანია, ახალი მუშაკები ჰყავს და ისინიც ახლებურად მონდომებითა და ენერგიით მუშაობენ. ზოგიერთი მათგანი კი, მაგალითად ამხ. ბარხუდაროვი, პირდაპირ საოცარი ენერგიითა და მონდომებით «მუშაობს», ისე სასიამოვნო შესახედაობის, ჯანითა და ღონით სავსე ახალგაზრდაა, რაც კი მოეთხოვება ოფიცინტს—ყველაფერს აკმაყოფილებს. მერე და რა მოეთხოვება ოფიცინტს უპირველესად ყოვლისა? ელემენტარული ზრდილობა და ელემენტარული მათემატიკის ცოდნა ამხ. ბარხუდაროვს კი, თავისდა სასახელოდ, თურმე უმაღლესი მათემატიკაც სცოდნია. აბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას ასეთ რამეს! მენიუს მიხედვით 2 ბოთლი ღვინო №8 ღირს 23 მან. და 80 კაპიკი, 4 ბუფეტროგანო-

ვი—41 მან. და 80 კაპ., ასი გრამი ყველი 2 მან. და 75 კაპ., მწვანილი—1 მან. და 35 კაპ., 100 გრ თევზი—6 მანეთი. ყველაფერ ამას პური სჭირდება და ყველთან და თევზთან მთლად უკეთესია მჭადი, ისე რომ, სამყოფი პური ღირს 3 მან. და 60 კაპ. მჭადი კი—2 მან. და 20 კაპ.. ახლა ეს შეგვირიბოთ.


23,80 + 41,80 + 2,75 + 1,35 + 6 + 3,60 + 2,20 = ჩვენი არაპროფესიული აზრით, ეს უნდა უდრიდეს დაახლოებით 100 მანეთს... ზუსტად კი 84 მანეთსა და 50 კაპიკს. ამხ. ბარხუდაროვის პროფესიული აზრით კი, ეს უდრის 153 მანეთს ზუსტად — არც მეტი, არც ნაკლები! ამაზე მეტი უმაღლესი მათემატიკა გინდათ? ერთი კითხვა კიდევ მაქვს—სად არის აქ «მადლი»?

ზ. გეგაზაშვილი


— რას გავს ეს, ღორები უპატრონოდ იზრდებოდნენ?

— ფერმის გამგე არ უვლიდა და მე ხომ არ ვივლილებდი?!

ნახ. მ. აბაშიძისა



— თუ ძმა ხარ, ცოცხალი წონა რამდენია?
— ნახე, თუ არ მომკვდარა, შემდეგ ვიტყვი!



— შეხედეთ, პაატა გიორგიჩს ახლა შავი „ვოლგა“ გამოუყვანია ალბათ. სამსახურიდან მოხსნას გლოვობს!

„მზე, მზე, მზე“



მზე გადაყოლილია ჩვენზე. იგი მთელ თავის ენერჯიას დღედაღამ ახმარს ჩვენი კეთილდღეობის საქმეს. მართო ის რად ღირს, რომ გვითბობს სიცვიისაგან გალურჯებულ ცხვირ-პირს.

ჩვენ კი რითი ვუხდით სამაგიეროს? — ვერაფრით. და ამიტომაც, სირცხვილით თვალსაც ვერ ვუსწორებთ მას.

მაგრამ მზეს «ჩავარდნებიცა» აქვს: ზოგჯერ თვეობით არ ცხადდება «პოსტ-ზე», ხან კი უმოწყალოდ გვირტყამს თავში.

რა ზომებს ვიღებთ ამ დროს? — ვერავითარს. ვდგავართ ზეცისკენ ხელეზ და თვალეზ აპყრობილი და მორჩილად ველით მის წყალობას.

მე შენ გეტყვი, უჩივლებ სადმე თუ რა?

მაგრამ, დავუშვათ რომ მზის მოქმედებას უხილავი ძალები კი არ წარმართავს, არამედ ადამიანის ყოვლისშემძლე ხელი. რომ «თელასის» გვერდით არსებობს «მზის სისტემის» საქართველოს ფილიალი, თავისი შტატითა და რიგი ნაკლოვანებებით.

... მმართველი ბიუროკრატულად გატომულა მზით გავსებულ კაბინეტში. მაგიდაზე ძევს მზის შესახებ არსებული ლიტერატურა: ხალხური «მზეც შინა და მზეც გარეთა», «მზეო, ამოდი, ამოდი», აგრეთვე ივ მონტანის «თავი მზითა მაქვს სავსე» და სხვ. რამდენიმე ტელეფონი ყურისწამლებად წყარუნობს.

დიალოგი პირველ ყურმილში: — მზის სისტემაა. დიახ, მმართველი გისმენთ.

— კეთილი და პატიოსანი. გამაგებინეთ, რატომ ჰქვია ჩვენს ქვეყანას მზიური საქართველო?

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა?!

— ოთხი დღეა სარეცხი ვერ გამიშრია. ესაა საქმე?!

— ვინ ხარ შენ?

— რიგითი მოქალაქე არისტო ქარცივაძე.

— ამხანაგო არისტო, სად დაკარგე საზოგადოებრივი შეგნება. ციტრუსები მრჩება უმზეოდ და შენ სარეცხზე მელაპარაკები?!

— ბოლოს და ბოლოს, ვარ თუ არა თქვენი აბონენტი?!

— მერე, დათვალე რამდენია მსოფლიოში შენისთანა. **მარტო**

— არ ვიცი მე. **კვინდღეულის და მზე** მეცით ჩემი კუთვნილი მზე!

— ახლა არაფერი მაქვს. დამიმატებენ ლიმიტს და რამეს მოგიხერხებ.

დიალოგი მეორე ყურმილში:

— მზის სისტემა ვარ!

— სისტემა კი არა. უსისტემობა ხარ!

— ამხანაგო. პირად შეურაცხყოფაზე ნუ გადადიხარ!

— უყურე შენ, კიდეც დიდგულზეა. რომ დააჭირე ეს მზე და ხალხს დოუხეტქე თავები, სად მიხვალ ახლა?!

— მსურს ვიცოდე, ვისთან მაქვს საქმე?!

— ვისთან და დინამოს სტადიონის ექიმთან. 50 ათასი კაცი რომ იხრუკება და მზის დარტყმულებით გეივსო ჩემი კაბინეტი, თუ იცის თქვენმა ბრწყინვალეობამ.

ნამდვილად გადამრევს ეს ხალხი. ერთი რეკავს: მომეცი მზეო მეორე რეკავს: მოაშორე აქაურობას შენი მზეო. რა გქნა მე, ბოლოს და ბოლოს?!

— თავით უნდა იმუშაო, ბიძია. ავგისტოს ბოლოს რომ ქაჩავ გეგმას და 40°-ამდე ადიხარ, იმის ბრალია. მაგრამ, მოგხვდებათ თქვენც «თელასივით».

— თუ ძმა ხარ, ნუ მაშინებ. სახლში არ მიმაქვს და არ ვჭამ ამ თქვენს მზეს.

— ეგ კიდეც გაირკვევა. ვინ რას ჭამს!

— აბა, მიდი და არკვიე! (კიდეზს ყურმილს)

დიალოგი მესამე ყურმილში:

— დიახ, მმართველი ვარ.

— მადლობა ღმერთს. ძლივს დავიჭირე.

— დღეს რა ყველა დაჭერაზე ხართ. მილიციიდან ხომ არ რეკავთ?!

— ქობულეთის დასასვენებელი სახლის დირექტორი ვარ. ეს ხალხი უიშველ-ტიტველი რომ ყრია პლაჟზე და მზეს მთხოვს, რა შავი ქვა მივცე?!

— ცოტას ვერ მოითმენენ ეგ მამაცხონებულები!

— როდემდის, კაცო. ხალხი თვეს ამრგვალებს აქ და ერთი ულტრაიისფერი სხივი არ მოხვედრია.

— ტყვია მოხვდა მაგათ, რაეა გადარია ამ მზემ ეს ხალხი.

— რა ვქნა, მითხარი, გოჟშვა სახლებში?

— ვერაფერს გირჩევ. მზე ახლა რემონტშია.

... ასეთი პატრონების ხელში მზე, ალბათ, მართლა ბევრჯერ იქნებოდა «რემონტში» და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გადამწვარიყო კიდევაც.

არა ჯობია, იგი ისევ თავისი ნებით ენთებოდეს და ქრებოდეს ცაზე?!

ნერვებასაშლელი და საჩივრული მაინც არაფისთან გვექნება.

ჭარბ-ჭარბალი





უტექსტო ხუმრობა



ნან. გ. ფირცხალავასი

გამამხნევებელი პარკი

— ბავშვებო, მოვეწყვით ახლა საჩქაროდ. ბარემ დროზე მოვრჩეთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. მარდად, ჰო, მარდად!.. თემურ, სად ხარ, თემურ?.. ე, ბიჭო, დაწვევ ერთ მწკრივად ბავშვები. გვეყურება, თემურ?.. გაპკივის ქოშების ბაკუნით საბავშვო ბაღის აღმზრდელი და მხრებზე ჩამოყრილ ერთი კვირის განგებ დაუფარცხნელ თმას სახელდახელად კვერივით იგრიხავს კეფაზე.

— მეძახდით, ტატული მასწავლებლო? — გაიჭიმა აღმზრდელის წინ პატარა ბიჭუნა.

— რომელი ხარ შენ? — ეკითხება მკაცრად ბავშვს აღმზრდელი.


— მე?! — ასლოკინდა დაბნეული ბიჭი. — მე... მე თემური ვარ, ტატული მასწავ...

— რომელი თემური ხარ შენ? — მიე, ტატული მასწავ. თემურ პირველი ვარ.

— დეილება საცხა შენი თავი, მერე აქამდე ვეღარ დაიხსომე, რომ ჩვენი ფიზიოგოგი თემურ მეორეა?!. ვოტ იშჩო მნე!.. დამეკარგე აქედან!..

— ტატული მასწავ. თემურ მეორე დღეს არ მოვიდა... თუ შეიძლება, ამ დილით მე ვიქნები ფიზიოგოგი?

— სკორეი ტოლკო, ჩქარა ჩქარა!.. გაცივდება ის საოხრე საუხზე და რალა შეჭამს მერე თეფშზე მიმხმარ ბურღულს? დროზე, ბაღებო, დროზე... მოვეწყვით ვარჯიშისათვის!.. ცისანა, შე სასიკვდილე, არ გვეყურება ჩემი, ამდენს რომ ვკვივარ?! ვაი, ჩემმა ცოდვამ არ მოასვენა თქვენი მშობლები, ჩემს საწვალეობად რომ ხართ გაჩენილები. დადებით ახლავე, თორემ დაგკალით ყველანი! ნაჩინომ ახლა... ჯულიეტა, პრაშუ მუხიკა!.. მაშასადამე ასე; ერთი-ორი, ხელები განზე და



არ მუშაობს და ჭამს

ჩაისუნთქეთ ღრმად სუფთა ჰაერი... სამი-ოთხი, დაუშვით ხელები და, მთლად გამორეკეთ გაბინძურებული ჰაერი. ისევ ერთი-ორი და ასე განაგრძეთ... გასაგებია?

— გასაგებია! — ერთხმად პასუხობენ ბავშვები.

— აბა, გრომჩე მუხიკა... ჯულიეტა რა გემართება დღეს? დარტყი მაგ პიანინოს თითები. ვოტ ტაკ!.. ჰა, ყოჩაღად, კარგია, ბავშვებო!.. ასე, ასე!.. ხარაშო, ხარაშო...

— ტატული მასწავ. შეხედეთ როგორ დგას მზიური! — იცინის ერთ-ერთი აღსაზრდელი და მას ხარხარით ეხმაურება ბავშვების მთელი გუნდი.

— მზიურია, რაფერ დგახარ, გოგო, რაფერ!.. — აენთო აღმზრდელი. — რას გამოგობხეკია მამაშენივით მაგ მუცელი? შეწიე ახლავე იქით!.. ჰმ! რიჩარდი კუნტულია, მორჩი სიცილს. ყური უგდო მუსიკას, თორემ იცოდე, უმოწყალოდ ჩამოგახვე მაგ დასყრუებულ ყურებს!.. ი ტაკ, ერთი-ორი... სამი-ოთხი!.. ერთი-ორი...

— ტატული, ჰირიმე, არ დაილაღონ ბავშვები ვარჯიშით. იქნებ დღეისათვის კმარა?.. — შენიშნავს მთქნარებით ჯულიეტა.

— ხარაშო, დღეისათვის მართლაც კმარა! — ეთანხმება მას ტა-

უტექსტო ხუმრობა

- კუჭულია ცინცადეს თუ იცნობ?
- გამიგონია.
- ნესტორ ფხალაძეს?
- ვიცნობ!
- კირილე მლინარაძე გავიგონია?
- ოპ, რავე არა. რამდენჯერ პური გვიჭამია ერთად.
- სერგო ნიორაძე გეცოდინება!
- შე კაცო, კაი კაცია ნამეტანი.
- მე ვარ ის კაცი.
- მართლა?..

პირდაპირი მნიშვნელობით

ერთ თავმჯდომარეს უსყვედურეს, მცირე მოსავალი მიგილიათ და ანდაზაც შეახსენეს — „რასაც დასთეს, იმას მოიშვიო“.

— ჰოდა, მაშ რაღას მერჩით, რაც დაეთესეთ, იმდენი ჩვენც კი გვაქვს მოშვილიო, — გაიკვირვა.

უკთიერთგაგება

ტაქსის მძღოლს ჰკითხეს — შედმეტს რად იღებო და შედმეტი ხარჯების და აღუარავადო. ნოქარს ჰკითხეს — თქვენ რას იტყვიეთო და სწორი უთქვამსო. ეს რომ ოფიციალტებმა შეიტყვეს, იწყინეს: ნეტა ჩვენ რაღად არ გვიტოხესო.

კ. ზოგსაძე

მეგობრის მნა

— ის უცხოელი ტურისტი, ალტაცებული რომ გესაუბრებოდათ, რამე გაიგეთ?

— როგორ არა. ყველაფერი გავიგე... მისი აღფრთოვანება და მეგობრული გრძობები.

— რა ენაზე ლაპარაკობდა?

— წარმოიდგინეთ, ეგ კი არ უთქვამს!

ნამდვილი გზა

— ნუთუ მე არ შემძლია გავაკეთო რამე ნამდვილად საშვილი-შვილო საქმე?

— რატომაც არა... ადექით და ცოლი შეირთეთ!

მეიხის რჩევით

— ექიმი ჯერ არ ამდგარა, ასე უთენია რამ მოვიყვანათ?

— ისე გამოვიარე... თვითონ მიჩნია, ადრე ადგომა კარგანო, მიმდოდა მომეგონებინა.

ა. ბასილია

ალასი აივაზიანი

ლაბირინთაუმი...

პილისტიანი მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა, როცა მისი კაბინეტის წინ ხალხის რიგი დგებოდა. ყველა გარკვეულ პასუხს მოელოდა და პილისტიანი ვალდებული იყო „პო“ ეთქვა ან „არა“ შეეძლო, რასაკვირველია, „კნახოთ“ ან „არ ვიცი, ხვალ მოდიეთო“ ეთქვა მაგრამ ასეთი პასუხები მოქალაქეებს არ აკმაყოფილებდა. თავი რომ დაეღწია ამ პასუხების მიცემისათვის, პილისტიანი სხვა ოთახებში დამალვით არიდებდა თავს აბეზარ მწანველებს.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ოთახში მიაგუნებდნენ, და პილისტიანი ახლა იძულებული გახდა სართულიდან სართულში ერბინა. მაგრამ მწანველები ამ ეშმაკობასაც მიუხედავად, დაწესებულების ლაბირინთებში სადღაც მაინც აგუნებდნენ ხოლმე.

პილისტიანის მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ ბოლოს გამოსავალი მაინც იპოვნა: როცა გაქაფული მწანველები ოთახებიდან ოთახებში, სართულებიდან სართულებში ეძებდნენ, იგი არხეინად იჯდა თავის კაბინეტში და არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ პილისტიანი შეიძლებოდა თავის კაბინეტში მჯდარ-იყო.

თარგმანი არჩ. დავითიანისა

ტული და აღსაზრდელს სახე-გაბადრული მიმართავს: — გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველას მადა გაგველოცა და მოგვშივდა, ხომ?

— მოგვშივდა, მოგვშივდა! — ისმის ხალხიანი ტაშის ცემა.

— მაშ, გავფრინდეთ ყველანი სასადილოში! ჯულიეტა, პრაშუ, მარშ, და, თუ გიყვარდ, დაურჩა-რე, ჩვენც წავიდეთ სასადილოში დროზე. აბა, არ მივეხმაროთ ბავშვებს!

ნანა კანდელაკი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1/XII-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვკ. № 1837, უფ. 06780. ტირ. 40000

ნან. გ. ლომიძისა

ნიკონი



ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკის მარკით გამოშვებული მამაკაცის შარვლები.




თბილისის № 2 საფეიქრო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის მიერ გამოშვებული მამაკაცის მაისურები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამგორის რაიონის სამრეწველო კომბინატის „შემოქმედება“ ბეწვის პალტო.



თბილისის „ბ. დეკემბრის“ სახელობის სათამაშოების ფაბრიკაში დამზადებული სათამაშო — „ძალი სახლში“.